



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Clinical Psychology
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური პროგრამა
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ და ინგლისურ ენებზე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
ინლისურად:	Master in Clinical Psychology
პროგრამის ხელმძღვანელი	ქეთევან ჩიგოგაძე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
<p>კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი). სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. სემესტრი მოიცავს 19 კალენდარულ კვირას (21 კვირას-დამატებითი გამოცდის შემთვევაში) შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კალენდარულ კვირაზე (42 დამატებითი გამოცდის შემთვევაში).</p> <p>1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ-საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის).</p>	

განკუთვნილ კრედიტ-საათს).

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 6 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. აქედან 25 ECTS კრედიტი ეთმობა მოდულს „დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნები“, 20 ECTS კრედიტი ეთმობა მოდულს „ფსიქოლოგიური კონსულტირება და ფსიქოთერაპიის საფუძვლები“, 20 ECTS კრედიტი ეთმობა მოდულს „სასამართლო და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია“, 35 კრედიტი ეთმობა სამეცნიერო-კვლევით მოდულს, სადაც სამაგისტრო ნაშრომის შესრულება-დაცვა მოიცავს 25 ECTS კრედიტს, ხოლო 5-5 ECTS კრედიტი განაწილებულია ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების მეთოდებსა და კვლევის შედეგების დამუშავებაზე. დარჩენილი 20 ECTS კრედიტი შედგება დარგობრივი და პროფესიული არჩევითი საგნების მოდულიდან. კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ცოდნის გაღრმავების მიზნითა და საკუთარი ინტერესების შესაბამისად აირჩიოს მისთვის სასურველი საგნები და სამი სემესტრის განმავლობაში დააგროვოს 20 ECTS კრედიტი 45 ECTS კრედიტიდან.

<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (ტესტირება/გასაუბრება). საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (გასაუბრება) ტარდება კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საბჭოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები და პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი ინფორმაცია წინასწარ თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.</p> <p>აპლიკანტმა პროგრამაზე ჩარიცხვისათვის უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერტიფიკატი ან გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო ტესტირება/გასაუბრება. აპლიკანტებს, რომელთა დიპლომის დანართი ადასტურებს B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის კვალიფიკაციას, ან დამთავრებული აქვთ საბაკალავრო ან სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა თავისუფლდებიან სერტიფიკატის წარმოდგენისა და ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან.</p> <p>სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში გადმოსვლის სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს სამაგისტრო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი და სკოლის დეკანი. მათ მიერ შეთანხმებული შესაბამისობის საფუძველზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.</p>
--	--

<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე</p>
--------------------------------	---

	<p>მოთხოვნების შესატყვისი კლინიკური ფსიქოლოგიის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის მომზადება ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის და სასამართლო და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის განხრით. სამაგისტრო პროგრამის მიზანია კლინიკური ფსიქოლოგიის თეორიებსა და მიზნობრივი ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში მაგისტრისთვის რელევანტური ცოდნის უზრუნველყოფა.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<p>კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ აქვს კლინიკური ფსიქოლოგიის კლასიკური და თანამედროვე თეორიული საფუძვლების, მისი განვითარების ტენდენციებისა და ფსიქოთერაპიული, ფსიქოსადიაგნოსტიკო და საკორექციო, ასევე სასამართლო-საექსპერტო მიდგომების სიღრმისეული ცოდნა; ➢ სიღრმისეულად ფლობს ფსიქოსაკონსულტაციო, ფსიქოდიაგნოსტიკური და საექსპერტო ტესტირების კვლევის მეთოდოლოგიას, მეთოდიკას და ტექნიკას, აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მიზნობრივი ფსიქოლოგიური გამოკვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარები; ➢ ღრმად იცნობს კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში პრაქტიკული მიზნებისთვის გამოსაყენებელ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მიდგომებსა და ხედვებს; ➢ გაცნობიერებული აქვს კლინიკური ფსიქოლოგიის მნიშვნელობა და მისი როლი თანამედროვე ჯანსაღი და სოციალიზებული საზოგადოების ფორმირების პროცესში; ➢ სიღრმისეულად იცნობს ფსიქოდიაგნოსტიკის, ფსიქოკონსულტაციის და სასამართლო საექსპერტო საქმიანობის ფუნქციონირების პრინციპებს; ➢ იცის პიროვნების სხვადასხვა ტიპისთვის მისი ფუნქციისა და ინტერვენციის სახეების შესახებ; ➢ სიღრმისეულად იცის ფსიქოლოგიური ინტერვენციის კლასიკური და თანამედროვე თეორიები და მეთოდები. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ შეუძლია ფსიქოლოგიური პრობლემების და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის საკვლევი მეთოდების შერჩევა და მათი დამოუკიდებლად კვლევა; ➢ აქვს უნარი, შეარჩიოს მიზნობრივი ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტი და მისი კვლევის კონკრეტული მეთოდი და ამ მეთოდის გამოყენებით გაანალიზოს პრობლემა; ➢ შეუძლია ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ფსიქოთერაპიული მეთოდის შერჩევა და ჩატარება; ➢ შეუძლია მსჯავრდებული პიროვნებისთვის ადეკვატური სარეაბილიტაციო-სატრენინგო პროგრამის შერჩევა და ჩატარება; ➢ შეუძლია კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, როგორც

- ფსიქოკონსულტირების, ისე კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის სფეროში;
- ჩამოყალიბებული აქვს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; შეუძლია კრიტიკული აზროვნება და თვითკრიტიკა;
 - შეუძლია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა, ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია, დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობა პროფესიული საქმიანობის სფეროში;
 - წარმატებით იყენებს კლინიკური ფსიქოლოგიის, ფსიქოკონსულტირების და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის სფეროში მიღებულ ცოდნას პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების დროს;
 - აყალიბებს ორიგინალურ იდეებს, სახავს და ფლობს პრობლემის გადაჭრის გზებს.

დასკვნის უნარი – შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

- მაგისტრს შეუძლია კლინიკური ფსიქოლოგიის ველებში პრობლემების იდენტიფიცირება, გაანალიზება და მათზე დასაბუთებული რეაგირების მოხდენა;
- ასევე, სფეროში ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, კონკრეტული რეალობის გაანალიზება, სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული მასალის შეჯერება, არგუმენტირებული დასკვნების წარმოდგენა და ახალი იდეების გენერირება.

კომუნიკაციის უნარი – შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

- მაგისტრს შეუძლია ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე;
- აქვს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის უნარი;
- წარმატებით მონაწილეობს სემინარებში, დებატებსა და საჯარო გამოსვლებში;
- შეუძლია სამეცნიერო სტატიების მომზადება, სამეცნიერო კონფერენციებზე საკუთარი ნააზრევის არგუმენტირებულად წარმოდგენა;
- აქვს უნარი წარმართოს დისკუსია და საჯაროდ წარადგინოს და დაიცვას საკუთარი მოსაზრებები.

სწავლის უნარი – შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.

- მაგისტრს აქვს სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- შეუძლია ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან და მათი გამოყენება კონკრეტული პრობლემის გასაანალიზებლად;
- ახერხებს ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, ინტერნეტრესურსები, ფოტო, აუდიო, ვიდეოტექსტები) დადგენას და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოძიებას;
- შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, დროის რაციონალურად განაწილება, სწავლის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, პროექტის შემუშავება და მისი

	<p>ყოველი შემდეგი ეტაპის თანმიმდევრულად დაგეგმვა.</p> <p>ღირებულებები – შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მაგისტრს გაცნობიერებული აქვს პროფესიული ეთიკის ნორმები და იცავს მას; ➢ ახასიათებს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და აქვს განსხვავებული კულტურების მიმდებლობა; ➢ გამოირჩევა კულტურული თავისებურებების შესწავლისადმი მზაობით და გააჩნია სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებები.
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>კლინიკურ ფსიქოლოგიაში სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ საჯარო თუ არასაჯარო ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, რომელიც კლინიკური ფსიქოლოგის, ფსიქოდიანოსტიკის და კრიმინალური ფსიქოლოგის კვალიფიკაციას საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი შეიძლება დასჭირდეს საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, სასამართლოს, დახურული თუ ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებს, გამოძიებას. უფრო კონკრეტულად, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრს შეეძლება დასაქმდეს: განათლების, ჯანდაცვის, სასამართლოს, სასაგებარესო და პრობაციის სფეროში, ფსიქოდიანოსტად, ფსიქოკონსულტანტად, ფსიქოკორექტორად, სასამართლო ექსპერტად და ექსპერტ-ანალიტიკოსად; ის ასევე შეიძლება დასაქმდეს რაიონულ და საქალაქო სოციალური მომსახურების ცენტრებში.</p>

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული კომპონენტების წილისგან შედგება.</p> <p>სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მიმდინარე შეფასებებს; ➢ დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ➢ შუალედურ შეფასებას; ➢ საბოლოო გამოცდის შეფასებას. <p>სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, ესე და ა.შ) გამოკითხვა. აუცილებელი მოთხოვნაა საშინაო დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილება შემდეგი სქემის მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100% (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%. (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %. (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%. (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%. <p>თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ</p>
--	--

მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტი მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით აქტიურად აღიქვამს და ითვისებს მას; **წიგნზე მუშაობის მეთოდი** – სტუდენტს აღუძრავს ინტერესს წიგნის და ინფორმაციის სხვა წყაროების მიმართ, სტუდენტს უჩნდება საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზის და დასკვნების გაკეთების სტიმულირების კარგი საშუალებაა; **წერიითი მუშაობის მეთოდი** – მოიცავს ისეთს აქტივობებს, როგორიცაა ამონაწერებისა და ჩანაწერების კეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება; **დემონსტრირების მეთოდი** – გულისხმობს აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამოყენებით სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, რითაც თვალსაჩინოს ხდის და ხელს უწყობს სასწავლო მასალის აღქმას; **დისკუსია/დებატების მეთოდი** – არის ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს; **ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი** – სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა და მათთვის სასწავლო დავალების მიცემა უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; **შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი** – სტუდენტებს უვითარებს დასმული პრობლემის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლის უნარებს; **როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი** – სწავლების ეს მეთოდი საშუალებას აძლევს სტუდენტს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თალსაზრისის ჩამოყალიბებაში. იგი სტუდენტს უვითარებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოხატვისა და კამათის დროს მისი არგუმენტირებული დაცვის უნარს; **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ; **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი** – მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, რა დროსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია; **ელექტრონული სწავლების (e-learning) მეთოდი** – მოიცავს როგორც დასწრებულ, ასევე დისტანციურ და ჰიბრიდულ მეთოდებს სამივე მათგანი უზრუნველყოფს ეფექტიან კავშირს ლექტორსა და სტუდენტებს შორის, როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, ასევე სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის მიწოდების კუთხით; **პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდი** – მისი დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობით შესწავლა, რაც სტუდენტს გამოუმუშავებს თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების უნარ-ჩვევებს.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
კლინიკური ფსიქოლოგია	სასწავლო კურსი სტუდენტებს სიღრმისეულად გააცნობს კლინიკური ფსიქოლოგიის მეცნიერების შესაძლებლობებს და დიაპაზონს, თეორიულ საფუძვლებს, მეთოდოლოგიასა და ემპირიულ ამოცანებს. სტუდენტები გაეცნობიან ფუნდამენტურ და გამოყენებით მეთოდებს და კვლევების შედეგებს კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში. სტუდენტი გაეცნობა კლინიკური ფსიქოლოგიის დისციპლინათშორის და დარგთაშორის ამოცანებს და საკითხებს; გაეცნობა კლინიკური ფსიქოლოგიის ევოლუციას და მისი სხვადასხვა სფეროს ინტეგრაციას; სტუდენტი აითვისებს კლინიკური ფსიქოლოგიის ძირითად მეთოდოლოგიურ პრობლემებს; გაეცნობა ფსიქიკური აშლილობების ფსიქოლოგიაში კვლევის ბიოფსიქოსოციალურ მიდგომას.	სავალდებულო	5	I
პიროვნული აშლილობები	სასწავლო კურსი პიროვნული აშლილობები - მოიცავს საერთაშორისო კლასიფიკაციით, სხვადასხვა თეორიებში მიღებულ პიროვნების ანომალიისადმი არსებულ მიდგომებს. კურსი სტუდენტს სიღრმისეულად შეასწავლის პიროვნული აშლილობების წარმომავლობას, საკითხის ისტორიულ ასპექტს, პიროვნების სტრუქტურას, როგორც კლინიკური, ისე ფსიქოლოგიური კუთხით. კურსში საფუძვლიანად იქნება გადმოცემული პიროვნული აშლილობები სხვა ტიპის აშლილობებთან შედარებაში, ისეთ მეცნიერთა კვლევების საფუძველზე, როგორებიც არიან ე.კრეპელინი, კ.შნიდერი, ე. კრეჩმერი, ოკერნბერგი, მ. ლაიხენი და სხვა.	სავალდებულო	5	I
ფსიქიატრიის საფუძვლები	სასწავლო კურსი კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალობის მაგისტრანტებს გააცნობს ფსიქიატრიის, როგორც მეცნიერების ფორმირების ძირითად ეტაპებს და ფსიქიკური დაავადებების ძირითად კლინიკურ ფორმებსა თუ მიმდინარეობებს. მაგისტრანტები გაეცნობიან ფსიქიკურ დაავადებათა შესწავლის და კვლევის მეთოდოლოგიას - კლინიკურ-ფსიქოპათოლოგიურს, ნეიროფიზიოლოგიურს, გენეტიკურს, სტატისტიკურს და სხვა. ისევე როგორც კვლევის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ მეთოდებს, ფსიქიკური დაავადებების დიაგნოსტიკას.	სავალდებულო	5	I
ემოციების ფსიქოლოგია	ემოციების ფსიქოლოგია შეისწავლის ემოციების ძირითად მიმართულებებს და კლასიფიკაციებს. მაგისტრანტი გაეცნობა ემოციური მდგომარეობების ზეგავლენას ადამიანის ქცევაზე, ემოციურ-აფექტური სფეროს თავისებურებებს. სიღრმისეულად შეისწავლის ემოციების პათოლოგიას ანუ	სავალდებულო	5	I

	აფექტურ სინდრომებს და აშლილობებს. ასევე, სტუდენტები შეისწავლიან ემოციების როლს პიროვნების განვითარებაში; მაგისტრანტები ასევე გაეცნობიან პლატონის, არისტოტელეს, დეკარტეს, სპინოზას და თანამედროვე ავტორთა შეხედულებებს ემოციურ სფეროზე, ემოციების ბუნებასა თუ ემოციების ადგილზე და პრობლემებზე ფსიქოლოგიაში.			
პროფესიული ტრენინგის ჩატარების პრინციპები და მეთოდები	სასწავლო კურსი მაგისტრანტებს გააცნობს ფსიქოლოგიური ტრენინგის ძირითად ასპექტებს, ტრენინგის ჩატარების გარემოს შექმნის, ორგანიზაციულ და ეთიკურ პრინციპებს. მაგისტრანტები გაეცნობიან ტრენინგის ჩატარების მეთოდების კლასიფიკაციას, ინფორმაციის მიწოდების ტექნიკას. აითვისებენ პროფესიული ტრენინგის ჩატარების ისეთ პრინციპებს, როგორცაა: სისტემური დეტერმინაციის პრინციპი, აქტივობის, რეალობასთან მიახლოების, შემოქმედებითი პოზიციის, ქცევის ობიექტივაციის, ორგანიზაციული, ჯგუფის დაკომპლექტების და კონფიდენციალობის პრინციპები.	არჩევითი	5	I
ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია და კონსულტირება	კურსის ფარგლებში მაგისტი შეისწავლის ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემეტიკას (სიკვდილ-სიცოცხლის კონფლიქტი, სიყვარული, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, მარტოობა, სიცოცხლის საზრისი, შფოთვა და ფობიები) იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია კიერკეგორის, ჰუსერლის, ბინსვანგერის, როლო მეს, ირვინ იალომის, ვან კამისა და ვიქტორ ფრანკლის ნაშრომებში. ეგზისტენციალური ფსიქოთერაპიის, როგორც დინამიკური თეორიისა და პრაქტიკის, მთავარი მიზანია კლიენტისათვის საკუთარი არსებობისა და ცხოვრებისეული პრობლემების გაცნობიერებისა და გადაფასების ხერხების შეთავაზება. იმას, რასაც სხვა ფსიქოთერაპიული მიდგომები განიხილავს, როგორც ნევროტულ ან ფსიქოტურ დაცვით მექანიზმს, ეგზისტენციალური ფსიქოთერაპიისათვის არის მხოლოდ „ბლოკირება“, რომელიც გამოწვეულია ადამიანის სურვილით თავი აარიდოს გარდაუვალ შფოთვას.	არჩევითი	5	I
კოგნიტურ-ქცევითი ფსიქოლოგია	კოგნიტურ-ქცევითი ფსიქოლოგიის კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან პიროვნების შემეცნებითი პროცესების კანონზომიერებებს და მიმდინარეობის თავისებურებებს. სტუდენტები გაეცნობიან კოგნიტურ-ქცევითი ფსიქოთერაპიის ბაზისურ ტექნიკებს, ქცევის ფორმირებას, პოზიტიურ და ნეგატიურ განმტკიცებას, პროგრასტინაციის ცნებას და კოგნიტურ-ქცევითი მიდგომით მის კორექციას. ამავე კურსის ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ ვრცელი ინფორმაცია კრიზისული მდგომარეობებისა და ფსიქიკური ტრავმის შესახებ.	არჩევითი	5	I
ფსიქოდიანოსტიკა და ფსიქოლოგიური	ფსიქოდიანოსტიკა, ფსიქოლოგიის ნებისმიერ სფეროში (ინდივიდუალური კონსულტირება, პროფესიული ორიენტაცია, ფსიქოთერაპია და სხვ.)	სავალდებულო	5	II

<p>პორტრეტების ტექნიკა</p>	<p>დაკავებული პრაქტიკოსი ფსიქოლოგის საქმიანობის საფუძველია. ფსიქოდიანოსტიკის კურსის ფარგლებში სტუდენტები გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას ფსიქოლოგიის ერთერთ ძირითად პროფესიულ საქმიანობაში - ფსიქოდიანოსტიკაში. კურსის ფარგლებში სტუდენტები გააცნობიერებენ ფსიქოდიანოსტიკის სპეციფიკას, გაეცნობიან სხვადასხვა ტიპის ფსიქოდიანოსტურ მეთოდებს და ამ მეთოდების შემუშავების პრინციპებს.</p>			
<p>მოდული - ფსიქოლოგიური კონსულტირება და ფსიქოთერაპიის საფუძვლები</p> <p>ფსიქოკონსულტირება</p>	<p>კურსი ფსიქოკონსულტირება მაგისტრანტს გააცნობს ფსიქოლოგიური კონსულტირების ჩამოყალიბების და განვითარების ისტორიას და პრაქტიკოსი ფსიქოლოგის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროს საქმიანობას. გააცნობიერებინებს პრაქტიკულ და აკადემიურ ფსიქოლოგიას შორის განსხვავებას და გააზრებინებს ფსიქოლოგიური კონსულტირების ძირითად მიმართულებებს და ფორმებს. ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ფსიქოკონსულტირების მეთოდებს, როგორცაა: საუბრის მეთოდი, დირექტიული და არადირექტიული ფსიქოთერაპია, ფსიქანალიზი. აგრეთვე გააცნობს აქტიური მოსმენის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები სიღრმისეულად გაეცნობიან ფსიქოლოგიური კონსულტირების პოზიტიურ ფსიქოთერაპიას. სტუდენტები აითვისებენ ფსიქოლოგიური კონსულტირების სტრუქტურას და ეტაპებს და სხვადასხვა სახეობის თავისებურებებს. კურსის გავლის შედეგად სტუდენტი აითვისებს კლიენტთან მუშაობის სხვადასხვა მიდგომას და შეიმენს ფსიქოლოგ- კონსულტანტისთვის სავალდებულო უნარ-ჩვევებს.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>II</p>
<p>მოდული - ფსიქოლოგიური კონსულტირება და ფსიქოთერაპიის საფუძვლები</p> <p>ფსიქოსომატიკა</p>	<p>ფსიქოსომატიკის კურსი შეასწავლის მაგისტრანტებს თანამედროვე მსოფლიოში არსებული ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული გარემოს პირობების და მიმდინარე ცვლილებების კავშირს სომატურ დაავადებებთან. სტუდენტები გაეცნობიან ფსიქოსომატიკის თეორიულ საკითხებს და სიღრმისეულად შეისწავლიან და გაანალიზებენ ფსიქოსომატიკის შემსწავლელ თეორიებს, მეთოდოლოგიას და კვლევის მეთოდებს. ასევე, სტუდენტები მიიღებენ ცოდნას ფსიქანალიტიკური თეორიების შესახებ, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს ფსიქოსომატიკის მეცნიერების განვითარებაზე, კერძოდ გაეცნობიან ისეთ ავტორებს, როგორცაა: ზ.ფროიდი, ჯ.ბოულბი, მ. ბალინტი, ტომე და კეხელე, კეისმენტი, ენგელი და შმალე, ალექსანდერი და სხვა. ისევე როგორც გაიაზრებენ ფსიქანალიტიკურ კონცეფციას კრიტიკის საფუძველს სხვა მიმართულების წარმომადგენლების მიერ. სტუდენტები გაეცნობიან ფსიქოსომატიკური დარღვევების სახეობებს და ამ დარღვევათა გამომწვევ მიზეზებს, ფიზიოლოგიურ თეორიებს</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>II</p>

	ფსიქოსომატიკაში, პიროვნების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების კავშირს ფსიქოსომატურ დაავადებებთან, ისევე როგორც სტრესის ზეგავლენას ფსიქოსომატური დაავადებების მანიფესტაციაზე.			
მოდული - სასამართლო და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია	კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის კურსი გააცნობს სტუდენტს სამართლებრივი სფეროს როლს და მიმართებას დანაშაულებრივი ქცევის დეფინიციის საკითხში. სტუდენტი ღრმად შეისწავლის დამნაშავე პიროვნების ფსიქოლოგიური შეფასების სისტემას, კრიმინოგენურ მოტივაციას; კრიმინალური ფსიქოლოგიის კურსი გულისხმობს სტუდენტებისთვის იმ საბაზო ცოდნისა და უნარების მიცემას, რომელიც აუცილებელია კრიმინალური გარემოს ფუნქციონირების კანონზომიერებების გასაგებად და დანაშაულებრივი ჯგუფების ფსიქოლოგიის შესაცნობად. სტუდენტები გააცნობიერებენ ბიოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების როლს დანაშაულებრივი ქცევის მანიფესტაციაში და ჩამოყალიბებაში და ისწავლიან დამნაშავეს პიროვნულ და ფსიქიკურ თავისებურებებთან კორელაციის მოძიებას და დადგენას. გარდა ამისა, მაგისტრანტები სიღრმისეულად გაეცნობიან დანაშაულის კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და კვლევებს და ბოლო პერიოდის მნიშვნელოვან მიღწევებს.	სავალდებულო	5	II
მოდული - სასამართლო და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრანტებს გააცნოს ადამიანის უფლებათა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის არსი და ფუნქცია, მისი განვითარების ისტორიული ეტაპები. მაგისტრანტები გაეცნობიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნებებს და სახეობებს, ინდივიდის სტატუსს საერთაშორისო სამართალში. მაგისტრანტს ექნება საერთაშორისო სამართლის წყაროების ცოდნა და განუვითარდება ადამიანის უფლებების ჭრილში საკითხის განხილვის და ანალიზის უნარი. კონკრეტული კურსის გავლისას მაგისტრანტი დაეუფლება და აითვისებს ადამიანის ძირითადი უფლებების პრინციპებს და ზოგიერთი უფლების მიმართებას ფსიქოლოგიასთან. განსაკუთრებით ღრმად შეისწავლის პიროვნების დისკრიმინაციის საკითხებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა, პატიმართა, პატიმრის ოჯახებთან ურთიერთობის, არასრულწლოვან პატიმართა და მათი ურთიერთობის საკითხებს ზრდასრულ პატიმრებთან იმ ფსიქოლოგიურ საკითხებთან მიმართებაში, რომელსაც იწვევს მათი უფლებების დარღვევა.	სავალდებულო	5	II
რორშახის ტექნიკა	სასწავლო კურსი შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილისგან. კურსის თეორიული ნაწილი გააცნობს მაგისტრანტებს ადამიანის ფსიქიკურის ფუნქციას, სტრუქტურას და ფორმებს, სამყაროს ასახვის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ ასპექტებს, ყურადღება გამახვილდება	არჩევითი	5	II

	ფსიქიკურ პროცესებზე, ფსიქიკის მდგომარეობებსა და თვისებურებებზე. მაგისტრანტები სიღრმისეულად შეისწავლიან ძირითად ფსიქიკურ პროცესებს - კოგნიტურს, მოტივაციურს და ემოციურს.			
ფსიქოსინთეზი: თეორია და პრაქტიკა	კურსი ეძღვნება ერთ-ერთ თანამედროვე ფსიქოთერაპიულ მიმდინარეობას – ფსიქოსინთეზს. ამ მიმდინარეობის დამფუძნებელმა, რობერტო ასაჯიოლიმ, გააერთიანა ის ყველაფერი საუკეთესო, რაც იყო ფროიდის, იუნგის, ჟანესა და სხვ. ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში და მიანიჭა „სინთეზის“ ცნებას პრინციპულად ახალი მნიშვნელობა. თუ ადრე საქმე, ძირითადად, ეხებოდა მხოლოდ „პიროვნების გახლეჩამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას“, ასაჯიოლის ფსიქოსინთეზი უფრო შორს მიდის – მთლიანი და ჰარმონიული პიროვნების განვითარებისაკენ.	არჩევითი	5	II
სამართალმცოდნეობის საფუძვლები	კურსი სამართალმცოდნეობის საფუძვლები მაგისტრატურის სტუდენტებს გააცნობს სამართლის საფუძვლებს, სამართლის სისტემას და ფუნქციებს სახელმწიფოში. მაგისტრანტები გაეცნობიან ამ დისციპლინის წამომშობის კანონზომიერებას, განვითარებას და სახელმწიფოში ფუნქციონირების საკითხებს. შეისწავლიან კონსტიტუციური, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადამინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს.	არჩევითი	5	II
ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვა და ჩატარება	კურსი ეძღვნება ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის ემპირიული თუ ექსპერიმენტული კვლევის დაგეგმვის, კვლევის მეთოდის შერჩევის, კვლევის (საველე სამუშაოების) ჩატარების საკითხებს. თანამედროვე ფსიქოლოგია ემპირიული მეცნიერებაა, შესაბამისად, კვლევის მეთოდოლოგიის სწავლება ფსიქოლოგის მომზადების უცილებელი პირობაა. ამასთანავე, ეს კურსი კურსი მყარ საფუძველს ქმნის სხვა ფსიქოლოგიური დისციპლინების ასათვისებლად. ამ კურსსა და სხვა სასწავლო კურსებს შორის ძირითადი განსხვავება დაიყვანება, ფაქტობრივად, განსხვავებაზე სასწავლო პროცესსა და მის შინაარსს შორის.	სავალდებულო	5	III
მოდული - ფსიქოლოგიური კონსულტირება და ფსიქოთერაპიის საფუძვლები მოსაზღვრე მდგომარეობათა ფსიქოკონსულტირება	სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ცოდნას მოსაზღვრე მდგომარეობათა შესახებ, რაც არის ნევროლ-ფსიქიკური აშლილობების მსუბუქი, წაშლილი ფორმა, როემლიც იმყოფება ფსიქიკური ჯანმრთელობისა და პათოლოგიის პირობითი საზღვრის სიახლოვეს. სტუდენტები გაეცნობიან თეორიულ მასალას ისეთი ფსიქოგენიების შესახებ როგორცაა რეაქტიული მდგომარეობა, ნევროზები, ფსიქოპათიები, ფსიქიკური დარღვევები ექსტრემალურ პირობებში. კურსის ფარგლებში სტუდენტები ასევე მიიღებენ ცოდნას შიზოფრენიის დუნედ მიმდინარე ფორმების, ციკლოთიმის, ქრონიკული ალკოჰოლიზმის შესახებ. სტუდენტები შეძლებენ იმ ფსიქოსოციალური ფაქტორების ამოცნობას და გაანალიზებას, რომლებიც	სავალდებულო	5	III

	დომინანტურ ზეგავლენას ახდენს მოსაზღვრე მდგომარეობების ფორმირებაზე და აზიანებს პიროვნების ადაპტურ შესაძლებლობებსა და უნარებს.			
მოდული - ფსიქოლოგიური კონსულტირება და ფსიქოთერაპიის საფუძვლები ფსიქოთერაპია	საგანი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ფსიქოთერაპიული მიდგომები, ფსიქოთერაპიული მოდელები, პაციენტზე ზემოქმედების ძირითადი მეთოდები. განხილული იქნება ფსიქოთერაპევტისთვის სავალდებულო პროფესიული თვისებები და პიროვნული მახასიათებლები. ასევე მაგისტრანტი სიღრმისეულად შეისწავლის ფსიქიკის სტრუქტურას და სამივე შრის მოქმედებას: არაცნობიერის, ქვეცნობიერის და ცნობიერის, რაც მას საშუალებას მისცემს კვალიფიციურად გაანალიზოს ფსიქოთერაპიის როლი და ფსიქიკურზე ზეგავლენის მოხდენის მექანიზმები. სტუდენტი შეიძენს ცოდნას პიროვნების განვითარების დონეების, პიროვნების ტიპების შესახებ, რაც ასევე დაეხმარება მას მიზნობრივი ფსიქოთერაპიული მეთოდების შერჩევაში.	სავალდებულო	5	III
მოდული - სასამართლო და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია ადიქტოლოგია	კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაეცნობიან ადიქტოლოგიის ძირითად თეორიებს და ცნებებს. შეძლებენ ამ ცნებებით ოპერირებას. მაგისტრანტები დაეუფლებიან ადიქტოლოგიის სფეროში გამოყენებულ სადიაგნოსტიკო და თერაპიულ მეთოდებს. გაეცნობიან ადიქტოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარებას და გააცნობიერებენ მისი გამოყენების ზონებს თანამედროვე პრაქტიკაში.	სავალდებულო	5	III
მოდული - სასამართლო და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია სასამართლო ფსიქოლოგია	სასამართლო ფსიქოლოგიის სამაგისტრო კურსი აძლევს მაგისტრანტს ცოდნას სასამართლო-ფსიქოლოგიური პროცესის ყველა იმ რგოლის შესახებ, რომელთა ერთობლიობაც იძლევა ობიექტური და კვალიფიციური დასკვნის გამოტანის საშუალებას დამნაშავე პიროვნების სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ. მაგისტრანტი გაეცნობა სამოქალაქო და სისხლის საქმეების წარმოების ფსიქოლოგიურ მხარეს, განსასჯელის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, დაზარალებულის როლს მის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ქცევის განხორციელებაში და მის ფსიქოლოგიურ თავისებურებებსა და მოტივაციას; მაგისტრანტი დაეუფლება მოწმის დაკითხვის მეთოდოლოგიას და პროტოკოლირების ტექნიკას. მაგისტრანტი სიღრმისეულად დაეუფლება სასამართლო-ფსიქოლოგიური საექსპერტო კვლევის მეთოდებსა და ტექნიკას; მას შეუძლებადება განსასჯელის ტესტირების და დასკვნის მომზადების პროფესიული უნარ-ჩვევა, ისევე როგორც სასამართლო პროცესში მონაწილე პირებთან ურთიერთობის ეთიკა.	სავალდებულო	5	III
ფსიქოთერაპიის პროცესი	ფსიქოთერაპიის პროცესის კურსი სიღრმისეულად გააცნობს მაგისტრანტს თერაპიული პროცესის არსს, მის მიმდინარეობასა და ფუნქციებს. კურსის ფარგლებში მაგისტრანტი გაითავისებს პროცესს, რომელიც ცვლის საკუთარ თავზე შეხედულებას, გააცნობიერებინებს მაგისტრანტს ფსიქოთერაპევტის	არჩევითი	5	III

	როლის მნიშვნელოვნებას ამ პროცესში, ავადობის და გამოჯანრმთელების ცნებების არსს და კლიენტისა და თერაპევტის ურთიერთობის დინამიკას. მაგისტრანტები შეისწავლიან ფსიქოთერაპიული პროცესის იმ ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ფსიქოთერაპიის პროცესზე და განსაზღვრავენ ამ პროცესს.			
ფსიქოლოგია პენიტენციურ სისტემაში	სალექციო კურსი მოიცავს პენიტენციურ სფეროში დასაქმებული ფსიქოლოგის პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელ საკითხებს. აქცენტი გაკეთებულია ციხისა და პრობაციის სფეროსთვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა ანალიზზე და ამ დაწესებულებების მომსახურებისთვის აუცილებელ ფსიქოლოგიურ ასპექტებზე. აგრეთვე, ამ სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი ფსიქოლოგებისთვის საჭირო სატრენინგო კურსებზე და სარეაბილიტაციო პროგრამებზე.	არჩევითი	5	III
პროფესიული პრაქტიკა	კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დარგობრივი სავალდებულო და დარგობრივი არჩევითი საგნების გარდა, ასევე მოიცავს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს. პროფესიული პრაქტიკა ხორციელდება მაგისტრატურაში სწავლების მესამე სემესტრში. იგი ორიენტირებულია მაგისტრატურის სტუდენტს მისცეს შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის და პროფესიული უნარ-ჩვევების ადრეულ ეტაპზევე გამომუშავების საშუალება, რითაც ხელს შეუწყობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტის ჩამოყალიბებას. მაგისტრანტები გაეცნობიან და გაითავისებენ თავიანთი სამომავლო პროფესიული საქმიანობის გარემო-პირობებს, გაეცნობიან მასთან დაკავშირებულ სირთულეებს, გამოწვევებსა და პერსპექტივებს, საშუალება ექნებათ მოახდინონ კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირება და დასახონ და განახორციელონ მათი გადაჭრის გზები; შეძლებენ, გამოიმუშაონ პრობლემების, როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური გადაჭრის უნარ-ჩვევები. პროფესიული პრაქტიკის ბოლოს მაგისტრანტებს მოეთხოვებათ პროფესიული ანგარიშის წარმოდგენა.	არჩევითი	5	III
მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენება კვლევის მონაცემების დასამუშავებლად	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სოციალურ და, კერძოდ, ფსიქოლოგიურ კვლევაში მათემატიკური სტატისტიკის თანამედროვე მრავალგანზომილებიანი მეთოდების გამოყენების თეორიულ საფუძვლებს და დაეუფლებიან ემპირიული თუ ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების მრავალგანზომილებიან მეთოდებს კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის – SPSS – გამოყენებით. ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში, მათ შორის ფსიქოლოგიაში, ამა თუ იმ კანონზომიერების თუ შიდა კავშირის გამოვლენა, მისი ხასიათის შეფასება და ა.შ. შესაძლებელია მხოლოდ სტატისტიკური ანა-	სავალდებულო	5	IV

	<p>ლიზის გზით. ამასთანავე, მრავალგანზომილებიანმა სტატისტიკურმა ანალიზმა, რომელიც იძლევა საკვლევ ობიექტთა დაფარული (ლატენტური) ნიშნების, მათი წარმოქმნის მიზეზებისა და ურთიერთკავშირის შიდა კანონ-ზომიერებების გამოვლენის საშუალებას, ემპირიულ თუ ექსპერიმენტულ კვლევას, მათ შორის ფსიქოლოგიის სფეროში, პრინციპულად ახალი შესაძლებლობები შეუქმნა. მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზის ჩატარება უცილობლად მოითხოვს შესაბამისი სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას.</p>			
<p>სამაგისტრო ნაშრომი</p>	<p>სამაგისტრო ნაშრომი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომია, რომლის შესრულება და საჯარო დაცვა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების აუცილებელი პირობაა. მაგისტრანტი ქმნის სამაგისტრო ნაშრომს საუნივერსიტეტო სტანდარტის მიხედვით. სამაგისტრო ნაშრომი მზადდება დარგის სპეციალისტთან ერთად და ხელს უწყობს მაგისტრანტის მკვლევარად ჩამოყალიბებას – სამაგისტრო ნაშრომი ერთგვარად აჯამებს და თავს უყრის ყველა იმ ცოდნასა და უნარს, რასაც სტუდენტი იძენს სწავლების სრული კურსის გავლის განმავლობაში.</p> <p>ნაშრომში მაგისტრანტი წარმოაჩენს სპეციალიზაციის სფეროში ჩატარებულ დამოუკიდებელ მეცნიერული კვლევის შედეგებს. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმირების პროცესის დასრულება.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>25</p>	<p>IV</p>